

შპს „სანიტარი“-ს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (ჯუგდ) პოლიტიკის განაცხადი

ეს განაცხადი მოიცავს შპს «სანიტარი»-ს მიერ მიწოდებულ ყველა სახის მომსახურებას.

ჩვენ, შპს „სანიტარი“ ვიღებთ ვალდებულებას ვიზრუნოთ:

- ჩვენს საქმიანობაში ჩართული და/ან ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული პერსონალის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე.
- ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვაზე.
- კომპანიისა და მესამე მხარის საკუთრებაზე რაც შპს „სანიტარი“-ს ბიზნესის ან საქმიანობის შემადგენელი ნაწილია.
- კლინტებთან, სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან გამჭვირვალე ურთიერთობებზე.
- ეფექტური მენეჯმენტის გზით კლიენტთა მოლოდინის ამაღლებაზე

შპს „სანიტარი“-ს პოლიტიკაა დანერგოს საქართველოში ჯუგდ უმაღლესი შესაძლო პრაქტიკა და მიაღწიოს სტანდარტებს ყველა სამოქმედო უბანზე. ჩვენ გვჯერა, რომ მაღალი ჯუგდ შესრულება ეფექტური ბიზნეს მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ მზად ვართ ვიმოქმედოთ მისი განუწყვეტლივი გაუმჯობესებისათვის.

შპს „სანიტარი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან და სამუშაო სტანდარტებთან შესაბამისობას და მიზნად ისახავს შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო ყველა მისი თანამშრომლისათვის, მომხმარებლისათვის, მომწოდებლისათვის, ადგილობრივი თემებისა და საზოგადოებისათვის. ჩვენი ჯუგდ პოლიტიკა ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- სამუშაო ავარიების გარეშე
- სამუშაო ადამიანების დაზიანების გარეშე
- სამუშაო გარემოს დაბინძურების გარეშე
- სრული გამჭვირვალობა საქმიანობაში

ეს პოლიტიკა შეთანხმებული და დამტკიცებულია კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და არის კომპანიის ტრეინინგის ერთერთი განუყოფელი ნაწილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს რომ ის ყველას მიერ არის გაგებული და სრულდება ორგანიზაციის ყველა დონეზე.



ლევან კვირკველია
აღმასრულებელი დირექტორი
შპს „სანიტარი“
მარტი, 2018წ